№ 37

ხუთშაბათი, 18 თებერვალი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 37

ხუთშაბათი, 18 თებერვალი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**კნეინა ევგენია სოლომონის ასული ჯორჯაძისა** შვილებითურთ, გულითადის მწუხარებით აუწყებს-რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვლებასა საყვარლისა მეუღლისა თვისისა

**თავ. დავით ვახტანგის ძის ჯორჯაძისას,**

სთხოვს მობრძანდნენ დღეს, 18 თებერვალს, დილის 10 საათზედ, კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, და საღამოს 7 საათზედ პანაშვიდი.
(1—23—1)

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 თებერვალს,

ქართველის დრ. დასისაგან ქ-ნ ნ.პ. რჩეულისა დ ბ-ნ დ. მესხის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

პირველად

I

**სიკოჲა დენჩიკი**

სამ-მოქმედებიანი კომედია გადმ. რუს. დ. მესხის მიერ.

II

**ნება მიბოძეთ ბატონო**

კომედ. 2 მოქმედ. გადმოკ. კერესელიძის მიერ

არუთინა კარაპეტოვის როლს ასრულებს გ. აბაშიძე

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

შემდეგის წარმოდგენისათვის დანიშნულია ბენეფისი ვ. აბაშიძისა და კ. მესხისა.

## საჭიროა ნოქარი

გამოცდილი და კარგი მცოდნე გასტრონომიულისა და საბაკალეო ვაჭრობისა.

ადრესი: „შუამთაღი“, კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ. მუხრან-ბატონისა. (5—6.—3)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ა. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ჰ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენელიური და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ)

ქ. ქუთაისი

ექიმი

**ნ. გ. ჩიჩინაძე**

იღებს ავადმყოფებს

(ლევაშოვის ქუჩაზედ, პეტრე ხარაზოვის სახლში, № 13).

დილის 9—11 და საღამოს 4—6 საათამდის. (—6.—10)

## ახალი ამბავი

⁂ უკვე კარგა ხანია, რაც გამოცხადებულია, რომ ორს მარტს დანიშნულია საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა სხვა და-სხვა საქმეთა გასასინჯავად და გადასაწყვეტად. თავ-დაპირველი მიზეზი ამ საგანგებო კრების მოწვევისა არის ბძანება მთავრობისა, რომ რაც შესაძლოა მალე ამორჩეულ იქმნას ას ხუთი კაცი წარმომადგენლებად თავად-აზნაურობისა ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის საკრებულოსათვის. ბრძანებაა, რომ გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ უნდა აღნუსხოს თვითეულმა მაზრამ გუბერნიისამ რამდენი წარმომადგენელი უნდა აირჩიოს ბანკის საკრებულოსათვის ამ ას ხუთის კაცისაგან. რაკი გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება გადასწყვეტს რომელს მაზრას რამდენი წარმომადგენლის არჩევანი უნდა ერგოს, მერე შეუდგება თვით არჩევანებსაც. ორს მარტისათვის დანიშნულია მარტო განაწილება წარმომადგენლებისა მაზრებ შორის და არჩევანები კი სხვა დროსათვის იქმნება გამოცხადებული.

გარდა ამისა უკვე დანიშნულ საგანგებო კრებას მოხსენდება სხვა საქმენიცა და მათ შორის უმთავრესი არის: 1) მოხსენება, რათა ტფილისის გუბერნიაში შემოღებულ იქმნას ერობის დაწესებულება, 2) შუამდგომლობა, რათა სახელმწიფო ბანკში კრედიტი ჰქონდეს თავად აზნაურობას 3) შუამდგომლობა, რათა მამულების გამიჯვნა აჩქარებულ იქმნას ჩვენში, 4) იმ წეს-რიგის დადგენა და დამტკიცება, რომლის ძალითაც უნდა განიგებოდეს უძრავი ქონება ტფილისის თავად-აზნაურობისა, 5) დაარსება მეფე ერეკლეს სახელის სტიპენდიებისა სხვა და-სხვა სასწავლებელში.

ბ-ნმა გუბერნიის მარშლის თანამ-

## ფელეტონი

**წერილი „კვალის“ ხელმძღვანელის მიმართ.**

მოწყალეო ხელმწიფევ!

1897 წლის შემოდგომაზედ, როცა პირველად გავიგე, რომ თქვენ „კვალის“ ხელმძღვანელობას კისრულობდით, მართალი უნდა მოგახსენოთ, ეს ამბავი სასიხარულოდ დამრჩა. არ გეგონოთ—საზოგადოდ ადვილ გასატაცი ადამიანი ვიყო, რომლის აღტაცებისა და სიხარულის მიზეზს ზოგჯერ ვერც-კი მიხვდებით. არა, ჩემს სიხარულს თუ დიდი არა, ცოტაოდენი საფუძველი მაინც ჰქონდა: წაკითხული მქონდა თქვენი წინანდელი წერილები და კორესპონდენციები, დაბეჭდილი ზოგი „მოამბეში“, ზოგი „კვალში“ და ზოგიც „ივერიაში“. ღმერთმა იცის, არც მაშინ მიმაჩნდით არც კონტად და არც მარქსად, მაგრამ ზოგიერთ ეკონომიურ ფაქტების ცოდნა და საშუალო საპოპულარიზატორო ნიჭის ნიშნები უცილობლად გეტყობოდათ. ევროპა მოვლილის და თუმცა ნასესხების, მაგრამ მაინც ახალის თეორიის მქადაგებელის კაცის ჩამოსვლა ჩვენს ცხოვრებაში იმდენად იშვიათი მოვლენაა, რომ ჩვენი საწყალი საზოგადო ატმოსფერა რაღაც იმედებით იყო გაჟღენთილი (სკეპტიკოსები, რასაკვირველია, მაშინაც იყვნენ). ვნანობ, მეც გამიტაცეს იმ იმედებმა და მეც დავიწყე დროებით, რომ პოპულარიზატორობასა და პუბლიცისტობას შუა დიდი მანძილია. მეც ზოგიერთ ოპტიმისტებთან ერთად ვიმედოვნებდი, რომ შემოიკრებდით გარშემო თქვენს მეგობრებს—ეკონომისტებსა და საციოლოგებს და გამოიყვანდით კიდეც „კვალს“ იმ უხეირო, ირონიულის მდგომარეობიდგან, რომელშიაც ჩაყენებულია იგი ზედ წარწერით: „სამეცნიერო“.

მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენ ერთობ მალე დამიმტკიცეთ თქვენის საპუბლიცისტო მოღვაწეობით ამ გათანასწორების (პოპულარიზაცია—პუბლიცისტიკა) შეცდომილება. ახლა-კი ვხედავ, რომ სწორედ იმ დღეს, როცა ყოველ-კვირეულის ორგანოს ხელმძღვანელობა იკისრეთ, დაჰკარგეთ ყოველივე მნიშვნელობა ქართველის მკითხველისათვის. ამნაირად შემრჩა მე ჩემი გაცრუებული იმედები და საზოგადოდ ქართულს მწერლობას—ზოგადის ფრაზებით გატენილი ორგანო. აბა მიბრძანეთ, თუ კაცი ხართ, რა ფასი უნდა დავდო, მაგალითად, ამისთანა პუბლიცისტიკას: ყიფიანი გაგამგეობდა, გამგეობა გაყიფიანდა, გამგეობა ყიფიანის სარკეა, ყიფიანი გამგეობის, ჩაიხედეთ ყიფიანში, დაინახავთ გამგეობას, ჩაიხედეთ გამგეობაში, დაინახავთ ყიფიანს... (ნომერი არ მახსოვს. მგონი ივლისში იყო. ეს ერთი მრავალ მაგალითთაგანია.) დიდი შეცდომა ჩაიდინეთ სწორედ, როდესაც თავს იდევით ისეთი საქმე, სარომლისოდაც ძალ-ღონე არ შეგწევდათ. მოგეცათ სიცოცხლე პუბლიცისტობა კარგი რამ იყოს, მაგრამ რა ვქნათ ახლა, თუ კი ღმერთს არ მოუცია საამისო ნიჭი? რა გაეწყობა, უნდა დაემორჩილოთ ხვედრს. მე გეტყვით, რაც არის თქვენი საქმე: იფიქრებთ ერთ თვეს, ორ თვეს და ერთ წერილს დასწერთ, რომელიც წასაკითხად შეიძლება საინტერესო იყოს. ამისათვისაც მე, თქვენი უმორჩილესი მონა, პირველი მოგიძღვნით უდიდესს მადლობას. აკი სიამოვნებით გადავათვალიერებ ხოლმე თქვენს ცოცხლად დაწერილს კორრესპონდენციებს პარიზიდგან, შვეიცარიიდგან და წერილებს „ეკონომიურის წარმატებისა და ეროვნობის“ შესახებ, თუმცა პრინციპიალურად არ გეთანხმებით. ოღონდ კი ნუ მეტიჩრობთ და ნუ ეპოტინებით იმისთანა რასმეს, რაზედაც ხელი არ მიგიწვდებათ. პუბლიცისტიკა, პუბლიცისტიკაო, დაგიჟინიათ, და ზოგადის ფრაზებითა და ჰორებით-კი ავვავსეთ! აბა რა საკადრისია, ერთი მიბრძანეთ?

კიდევ უფრო ნაკლებად მოგეტევებათ, ბ-ნო ჟორდანია, ფაქტების დამახინჯება და ცილისწამების გავრცელება. მაგალითად ავიღებ ბ-ნ ფალავას სიტყვების გამო თქვენ მიერ ატეხილს დაუსრულებელს აბდა-უბდას.

სამი თვეა აგერ, რაც ამ კაცის სახელი თქვენის „სამეცნიერო“ გაზეთის ფურცლებს არა ჰშორდება: მეთაური, კორრესპონდენტი, შინაური მიმომხილველი, სტუდენტი, არა-სტუდენტი, ვინ გინდა, რომ იმას არ სწეწავდეს. სტუდენტები მოსცდნენ მეცნიერებას (ზოგიც თურმე „ბილიარდისა და ბანქოს თამაშს“, აგრეთვე „ქეიფს და განცხრომასაც“, იხ. წერილი სტუდ. დევდარიანისა, კვალი, № 3, 1899 წ.) და პუბლიცისტობას ჩემობენ. მართალია, ერთი მათგანი ამბობს: „სტუდენტობას ისე აინტერესებს ბ-ნ ფალავას აზრი, როგორც შარშანდელი თოვლიო“ („კვ.“, № 50, 1898 წ., სტუდ. ნ. ელიავა), მაგრამ რა სასტიკი ირონიაა ამ სიტყვებში! საზოგადოდ, ბ-ნი ელიავა დიდი იუმორისტი უნდა იყოს. წერილის თავში სწერს: „ვისთვის არის საინტერესო ეს კითხვა გარეშე გ. ლოლობერიძისაო?“ და თქვენ, ბ-ნ „კვალის“ ხელმძღვანელო, ვერც-კი გრძნობთ, რომ თავაზიანმა თანამშრომელმა კარგა ლონიერი წკიპურტი მოგახვედრათ. თუ კითხვა („ქუთაისელი ვექილის აზრი სტუდენტობის შესახებ“) არავისთვის არ არის საინტერესო, არც თქვენ უნდა დაგეთმოთ მისთვის იმდენი ალაგი თქვენს გაზეთში, არც ბ-ნ ლოლობერიძის წერილი უნდა დაგებეჭდათ და არც ბ-ნ ელიავასი. თუ ბ-ნი ელიავა „პირადათ იყო დაინტერესებული“ თავისის ამხანაგის აზრით, „მას შეეძლო კერძო წერილით მიემართა მისთვის და ისიც, დარწმუნებული ვართ, გააგებინებდა თავის აზრს.“ (ibid) ბ-ნი ელიავა რომ თავისსავე რეცეპტით მოქცეულიყო, ჩვენ, მკითხველები, თავისუფალნი ვიქნებოდით მისის თუმცა რიხიანის, მაგრამ უფხო წერილის კითხვისაგან, და მით უალრესს მადლობას დაიმსახურებდა კიდეც ჩვენგან. ერთის მხრით კაცი აცხადებს: ისე მაინტერესებს ბ ნ ფალავას აზრი, როგორც შარშანდელი თოვლიო და იმავე დროს აცხობს წერილს, რომელსაც უმთავრესს საგნად დაუსახავს ათვალ-წუნებულის კაცის სიტყვების თავისებური განმარტება წარმოადგინოს. არ ვიცი, როგორ შევათანხმო ეს ორი გარემოება ერთმანეთს. თქვენ მასწავლეთ, ბ-ნო ჟორდანია. ვერ გამიგია თქვენის თანამშრომლების ლოგიკის საიდუმლოები. კიდევ ბევრი რამ არის იუმორისტიული ბ-ნ ელიავას წერილში (მაგ., ანდაზა: Si tacuisses, mansisses ანდაზაც ვერ დაუსწავლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებობის აღმასრულებელმა გენერალ-მაიორმა საგინოვმა კერძოდ მიიწვია რამდენიმე თავადი და აზნაური, რათა წინადვე, ვიდრე საგანგებო კრება მოხდებოდეს, მოილაპარაკონ და ერთმანეთს აზრი განუზიარონ დანიშნულ საქმეთა შესახებ და ამ სახით უფრო მეტის მომზადებით მიიღონ მონაწილეობა ორის მარტის საგანგებო კრებაში.

16 და 17 მარტს ეს კერძო კრებული შეიყარა გენერალ-მაიორ საგინოვის თანადასწრებით, მოისმინა გარემოებანი თვითვეულის ზემოხსენებულის საგნისა და იმ აზრზე დადგა, რომ ყველა მაზრებ შორის გორის მაზრას მომეტებული წარმომადგენელი ბანკის კრებულისათვის უნდა მიეკუთვნოს და დანარჩენი რიცხვი წარმომადგენელებისა უნდა გაუნაწილდეს სხვა მაზრებს თვითვეულად. დანახულ იქმნა საჭიროდ, რომ ზოგიერთი მაზრა, სადაც ცოტა თავად აზნაურია, მეზობელს მაზრას მიეწეროს. ერობის დაწესებულების შემოღება დანახულ იქმნა საჭიროდ ხოლოდ იმ დასკვნით, რომ არა-რა გამოეკლოს იმ წესსა და რიგსა, რაც შიდა რუსეთში მიღებული. ამ საგნის შესახები მოხსენება მთავრობის წინაშე წარსადგენად მიენდო თ. დ. ზ. მელიქიშვილს, ილ. ჭავჭავაძეს და ბ-ნ გ. დ. ჟურულს. გამიჯვნის შესახებ გამოირკვა ის აზრი, რომ ცარიელი თხოვნა აჩქარებისა არას გააწყობსო და საჭიროა გზაც ვუჩვენოთ ამ აჩქარებისაო. მიენდო თ. ივ. გ. ამილახვარს, ვინცა ჰსურს ის მიიწვიოს და მათის დახმარებით გამოარკვიოს რა ღონის ძიება შეგვიძლიან დავუსახელოთ მთავრობას, რომ მამულების გამიჯვნის საქმე აჩქარდეს. ერეკლე მეფის სახელის სტიპენდიების დანიშვნის გამო ის აზრი გამოითქვა, რომ აწ არსებულ სათავად-აზნაურო სკოლას დაერქვას ერეკლეს სკოლა და ყველა, ვინც იმ სკოლის ხარჯით იზრდება, ერეკლეს სახელის სტიპენდიატად იწოდებოდეს და თუ საჭირო იქნება სხვა სტიპენდიატების ყოლაც, თავად-აზნაურთა ქარვასლისაგან ძირის ფული შეგროვდეს იქიდამ, რაც საჭირო ხარჯს ქარვასლისას გადარჩება. წეს-რიგი საგუბერნიო თავად-აზნაურობის უძრავ ქონებათა გამგებლობის შესახებ გამოითქვა, რომ იგი წესდება, რომელიც თავად-აზნაურთაგან ამორჩეულმა კამისიამ უკვე შეადგინა, წარედგინოს განსახილველად და დასამტკიცებლად ორის მარტისათვის დანიშნულ საგუბერნიო კრებას.

იმ საგნის შესახებ, რომ სახელმწიფო ბანკში თავად-აზნაურთ კრედიტი მიეცეს, საჭიროდ დანახულ იქმნა აქაურ სახელმწიფო ბანკის გამგებელს დაეკითხონ და რასაც ის ურჩევს, ისე მოვიქცეთ. სთხოვეს ბ-ნ გენერალ-მაიორ საგინოვს და რამდენსამე თავადს-აზნაურს ამ საგანზე მოელაპარაკონ ბანკის გამგებელს.

ჩამოვარდა ამ კერძო კრებაზე ლაპარაკი ნაფიცთა მსაჯულების შემოღებაზე ჩვენში. გამოირკვა ის აზრი, რომ საჭიროა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამაც ამაზე თავისის მხრითაც შუამდგომლობა იკისროს და ამით მხარი მისცეს ქუთაისის თავად-აზნაურობასაო. რადგანაც ორის მარტის საგანგებო კრებისათვის დანიშნულ საგანთა შორის არ არის მოხსენებული ნაფიცთა მსაჯულების შესახები საქმე, ამიტომაც სთხოვეს ბ-ნს გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელს ნაფიცთა მსაჯულების შემოღების საქმე დანიშნოს იმ საგუბერნიო საგანგებო კრებისათვის, რომელიც მოწვეულ უნდა იყოს ამ ახლო ხანში ბანკის კრებულისათვის წარმომადგენელთა ასარჩევად.

*** დღეს, 18 თებერვალს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის არტისების მიერ წარმოდგენილი იქმნება რუსულიდგან გადმოკეთებული კომედია: „სიკოია დენჩიკი" და ვოდევილი „ნება მიბოძეთ ბატონებო".

*** რუსეთის ფოსტა ტფილისში არც გუშინ, 17 თებერვალს, მოსულა. ეს უკვე ოთხი დღეა რაც გზა შეკრულია და ფოსტა ვეღარ მოდის, როგორც დეპეშით იუწყებიან, დარიალის ხეობაში დიდი თოვლი მოსულა. საშინელის ქარ-ბუქისა და ზვავებისაგან კობიდგან გუდაურამდე გზა შეკრულია.

*** შემდეგი კრება ქალაქის საბჭოს დღეს, 18 თებერვალს, ექმნება. ამ სალამოს საბჭომ უნდა განიხილოს ორი საგანი, რომლის განხილვაც წინა კრებაზედ ვერ მოასწრო.

*** გუშინ, 17 თებერვალს, ქალაქის გამგეობამ მოსთხოვა ტეხნიკოსებს საჭირო ცნობები წარმოადგინეთ ქუჩების მოკირწყვლის შესახებ, რადგანაც შაბათს, 22 თებერვალს, დანიშნულია საზოგადო კრება გამგეობის მონაწილეობით, რომელმაც უნდა შეადგინოს პროგრამა ქუჩების მოკირწყვლის მუშაობისა.

*** 16 თებერვალს, ღამე, ბათუმსა და ჩაქვას შორის მე-90 ვერსზე მიწის ზვავი ჩამოწვა და გზა შეიკრა. იმედი ჰქონდათ, რომ 18 იანვრისათვის გზას გააკეთებდნენ და სახალხო მატარებელი სიარულს დაიწყებდა, ხოლო ის ადგილი, სადაც ზვავი ჩამოწვა, მგზავრებმა ფეხით უნდა გაიარონო.

*** ხმოსან-ტეხნიკოსებისაგან შემდგარმა კომისიამ განიხილა პროექტი შესახებ იმისა, რომ სურფ-კარაპეტის ხევთან გაკეთდეს კედელი ისე, რომ ადგილი დარჩეს $3\frac{1}{2}$ საჟენიან ქუჩისათვის. ამ ადგილის ყველა მცხოვრებლებმა იკისრეს საჭირო ხარჯი. გარდა ამისა კომისიამ მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა დასუფთავებულ იქმნას სურფ კარაპეტის ხევიო.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გამოუგზავნა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს ბ-ნ კიპენის მიერ შედგენილი წიგნაკი „ვაზის მკნობა"-ს სათაურით სოფლის მცხოვრებთათვის დასარიგებლად. კარგს იზამს საფილოქსერო კომიტეტი ეს წიგნაკი ქართულად გადმოათარგმნინოს და ისე დაურიგოს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების მცხოვრებთ.

*** მკითხველებს მოეხსენებათ, რომ შორაპნის მაზრაში არის საქარის სანერგე, მთავრობის მიერ დაარსებული. ამ სანერგეში, სხვათა შორის, იყიდება ამერიკულის ვაზის ნერგები.

ქუთაისის მაზრაშიაც, აჯამეთში, ბ. მ. ანანოვს თავისს მამულში გაუმართავს სანერგე და ჰყიდის ამერიკულ ვაზზე ნამყენ ნერგებს, ხოლო, როგორც ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, ბ. მ. ანანოვის მიერ გაყიდულ 100 ნერგიდან 20 ძლივს დგება და ხეირობს.

ამერიკულ ვაზის გაშენება ჩვენში ჯერ ახალი საქმეა და ამიტომ საჭიროა სასტიკი ყურადღება იქმნას მიქცეული, რომ ცუდი ნერგი არავინ გაჰყიდოს და ამით ამერიკის ვაზის გაშენების საქმე არ შეაფერხოს.

*** სამკურნალო გამგეობამ საყოველთაოდ განუმარტა ტფილისის გუბერნიის სოფლის მკურნალებს, რომ სასოფლო ქსენონები ვალდებულნი არიან მაზრის მკურნალების რეცეპტებით უსასყიდლოდ აძლიონ წამალი ყველა გლეხებს. მაზრის მკურნალის რეცეპტით წამალი უნდა აძლიონ იმ გლეხებსაც-კი, რომელნიც ისეთ სოფლებში სცხოვრობენ, სადაც ქსენონი არ არის.

*** ლენქორანის მაზრაში, ტალნიხანოვის მამულში დასახლებულ გლეხებს მიუმართავთ კავკასიის საიმპერატორო საზოგადოებისათვის და მოუხსენებიათ, რომ აქამდე აბრეშუმი მოგვყავდა და ამ მრეწველობით 1500 კომლი ვსცხოვრობდითო. ამ ბოლო წლებში აბრეშუმის საქმე თანდათან დაეცა ჩვენში და ეხლა ზარალის მეტი არაფერი მოაქვსო. გლეხები სთხოვენ საზოგადოებას, დაგვეხმარენით და 5 გირვანქა ჭიის თესლი გამოგვიგზავნეთ იმ პირობითა, რომ ან მოსავლიდგან ნახევარი მოგცეთ და ან ფული გადავიხადოთ მაშინ, როცა აბრეშუმს გავყიდითო. ფულის გადახდაში თავმდებობა იკისრა ტალნიხანოვის მოურავმა.

*** „ახ. მიმ."-ს სიტყვით, შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან დაარსებულ იქმნას პრაქტიკული კურსები ბაღოსნობისა. კურსების პროგრამის შემუშავება უკვე მიუნდვიათ ბ-ნ კლაუსენისათვის.

*** „ტფ. ფურ."-ს სწერენ პეტერბურგიდგან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიწონა პროექტი ამიერ-კავკასიის ერთ-ერთ ქალაქში ლაბორატორიისა და ასაცრელ სადგურის დაარსების შესახებო. ამ სადგურში საქონელს ჭირი უნდა აუცრან ხოლმე. აზრადა აქვთ ამ სადგურის შესანახად საერობო თანხიდგანაც გადასდონ ფული.

*** როგორც „ტფილ. ფურც."-ს ატყობინებენ, პროექტს ტფილისში გლეხის საადგილ-მამულო ბანკის განყოფილების დაარსების შესახებ სახელმწიფო საბჭო განიხილავს ამ ახლო მომავალში კავკასიის მთავარ-

---

ხეირიანად), მაგრამ ამ ჟამად არა მცალიან. თქვენ უფრო საყურადღებო ეგზემპლიარი ბრძანდებით.

რამ აგაღელვათ, ბ-ნო პუბლიცისტო? რა მოხდა? რად სდევნით სისტემატიურად ეკონომიურს გამოკვლევებს (ამას მოველოდით?) თქვენის გაზეთის ფურცლებიდგან და, ნაცვლად, ჰორებს რათ უთმობთ ამდენს ადგილს? რა ისეთი მომაკვდინებელი ცოდვა ჩაიდინა ბ-ნმა ფაღავამ? აი მე, თქვენს მკითხველს, როგორ მაქვს წარმოდგენილი ეს ცოდვა (თვითონაც დაინახავთ, რომ წყაროდ მხოლოდ თქვენივე გაზეთი მაქვს).

თქვენის გაზეთის მე-49 №-ში გამობეჭდილია „ივერიიდგან" ბ-ნ ფაღავას წერილი. მე თითონ ის ნომერი „ივერიისა" არა მაქვს წაკითხული, მაგრამ ისეც გენდობით. შემდეგს ნომერში მოთავსებული გაქვთ ერთობილი (კოლლექტიური) წერილი ბ-ნთ მდივანისა, კვიტაშვილისა, გველესიანისა და გელაზაროვისა. როცა ეს საბუთის ქაღალდი ერთმანეთს დავუპირდაპირე, აღმოვაჩინე სრული თანხმობა. მეორის მხრით, ხელთა მაქვს ორი თქენი მოწმობა: ერთი — იმის შესახებ, რომ „ბ. ფაღავა ამტკიცებს მემატიანეს (პირველი კორესპონდენტი ამ საქმის შესახებ) სიტყვებს და მეტს არაფერს" (იხ. „კვ." № 49); მეორე — იმის შესახებ, რომ „ეს (ე. ი. ერთობილი წერილი) და კილაძის წერილი სრულიად ეთანხმება ერთმანეთს" (ibid.). თქვენც, რა თქმა უნდა, ეთანხმებით თქვენს კორრესპონდენტებს. მაშასადამე, თქვენ, თქვენი კორრესპონდენტები, ბ-ნი ფაღავა და ზემოხსენებული ოთხი კაცი ერთსა და იმავე ჰღაღადებთ. მაშასადამე, ბ-ნ ფაღავას წერილში სრული ჭეშმარიტებაა მოთხრობილი. აკი თქვენც უწყრებით, — ჩვენც ამას ვამბობდითო (ibid. „კვირიდან კვირამდე"). გადავიკითხოთ ის წერილი. ვკითხულობთ: „სტუდენტების წინააღმდეგი და საზოგადოთ მათ შესახები არა მითქვამს-რა. მე ვიყავი წინააღმდეგი მხოლოდ ბ-ნის გელეიშვილის მოწმეთა იმ ორიოდ სტუდენტისა, რომელთა სინამდვილეს მოკლებული მოწმობა იქვე საბუთით დაუმტკიცდათ" (ibid., ბ ნ ფაღავას წერილი). განვმარტოთ ეს მოკლედ გამოსახული აზრი საერთო წერილის სიტყვებით: „ამ საქმეში უფრო საყურადღებოა და უფრო დასაჯერებს „სტოროჟს წერეთელს, ვიდრე იმ მოწმე-სტუდენტებს, რომელნიც პირუთვნელად და სრული სისწორით ვერ აჩვენებდნენ საქმის ვითარებას, როგორც დაინტერესებულნი პირნიო" („კვ." № 50). მაშასადამე, ბ-ნი ფაღავა არა თუ საერთოდ სტუდენტობას და საზოგადოდ მოსწავლე ახალგაზრდობას ოდნავადაც არ შეჰხებია, არამედ იმ ორ „მოწმე სტუდენტებზედაც" (მშვენიერი ლოგიკური განსაზღვრაა) საზოგადოდ არა უთქვამს-რა. ის ამბობს: „ამ საქმეში უფრო საყურადღებოა" და სხ... რა არის ამ სიტყვებში თქვენის ასეთის დაუსრულებელის ლაზღანდარობის ღირსი, ბ-ნო პუბლიცისტო? როცა ადამიანი დაინტერესებულია რომელსამე საქმეში, შეიძლება ფაქტი ისე ვერ დაინახოს, როგორც რიგია: ან მეტს დაინახავს, ან ნაკლებს, ფსიხოლოგიურის მდგომარეობის მიხედვით. ამისთანა კაცმა ადვილად შეიძლება შეჰლალოს ჭეშმარიტება, არა ცუდის განზრახვით (არიან ამისთანეებიც, რასაკვირველია, მაგრამ ამ ჟამად მე იმათ არ ვეხები), არამედ სრულიად გონება-დაუტანებლივ. ტემპერამენტს აქ დიდი გავლენა აქვს. ეს უბრალო ფსიხოლოგიური კანონია. ამ მოვლენის მაგალითებს ბევრს შევხვდებით ფსიხოლოგიაში და ლოღიკაშიაც. იურიდიულს პრაქტიკაში მას კიდეც უჭირავს შესაფერი ადგილი. მაგრამ ფსიხოლოგია და ლოგიკა თქვენ, პუბლიცისტმა უკეთ იცით, რასაკვირველია. საზოგადოდ მეცნიერების კანონებიც უკეთ მოგეხსენებათ, რა თქმა უნდა, და მე, მკითხველმა სად გასწავლოთ? ამიტომაც ამის შესახებ სიტყვას არ გავაჭიანურებ. ამ კანონს თქვენც ექვემდებარებით, ბ-ნო პუბლიცისტო! პირველი დასამტკიცებელი საბუთი — თქვენ მიერ ბ ნ ფაღავას წინააღმდეგ ატეხილი აგიტაციაა. ბ ნ ფაღავას სიტყვებში თქვენ მეტი დაინახეთ, ვიდრე პირუთვნელი გარეშე კაცი დაინახავდა. თქვენი მოქმედება სწორედ დაინტერესებულის კაცის ქცევას მომაგონებს. რაღაც კუდი გეწვით, უეჭველია. თანაც მგონია, რომ აქ ცუდი განზრახვაც (თქვენის მხრივ) ურევია. აგიხსნით.

კორრესპონდენტმა შემდეგი ორაზროვანი სტრიქონები მოგვწერათ: „ოლქის სასამართლოში განსაკუთრებით ყურადღება მიიქცია ყიფიანის ვექილმა ფაღავამ თავისი გალაშქრებით სტუდენტების წინააღმდეგ. სტუდენტების მოწმობა სანდო არ არის, ისინი პარტიის ხალხია და ტყუილს იტყვიანო" („კვალი" № 45).

ერთის მხრივ, გადალაშქრებაც არის და გადალაშქრებაც; გარდა ამისა, „სტუდენტები" და „ისინი" საზოგადოდაც ითქმის და ორ-სამ კაცის შესახებაც, რასაც თქვენ თითონაც გვამცნებთ („კვ." № 49). თუმცა ეს კარგად იცით, მაგრამ ჰმარხავთ ამ ცოდნას და იმის ნაცვლად, რომ უფრო დაწვრილებითი და გარკვეული ცნობები მოსთხოვოთ კორრესპონდენტს, ჰკისრულობთ სატირიკოსის როლს (ოჰ, ბატონო ჟორდანია, რომ გესმოდესთ, რამდენად არ გიხდებათ ეს როლი, რამდენად უმარილოა თქვენი ოხუნჯობა და უგბილო თქვენი ირონია, დარწმუნებული ვარ, თავს დაანებებდით «მანდილოსან (?!) მათუსალას", „ბაყბაყ-მდევებს", საზოგადოდ უხეირო მასხრობასა და „ენის კოტრიალს"..მართალია, მარქსი და ენგელსი ენა მახვილი მწერლები იყვნენ, მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ quod licet Iovi, non licet bovi.) და იმ ნომერშივე ჩვეულებრივის მრავალ სიტყვაობით სწერთ: „თბილისში თუ ფული ბატონობს, ქუთაისში სამაგიეროდ ენა დაკოტრიალობს. აქ ფულით ენა იყიდება, იქ ენით ფული იშოვება. და აი, „ერთ მაშვრალთაგანს" შეუტრ-შემოუტრიალებია თავისი ენა და პირდაპირ გამოუცხადებია: „რადგანაც მე დღეს ჩემ მტერთან კლიენტისაგან წითელს ქაღალდებს მოკლე, ამისთვის მოსწავლე ახალ-გაზრდობა სახლში შესაშვები არ არისო" (კურსივი ჩემია, „კვ. № 45). შემდეგ იხსენიებთ „ქუთაისის სტუდენტობას". ახლა მიბრძანეთ ბ-ნო პუბლიცისტო, „მოსწავლე ახალგაზრდობა" და „ქუთაისის სტუდენტობა" ორის კაცის შესახებ ითქმის თუ არა? როგორ გგონიათ, შეადგენს თუ არა ორი სტუდენტი „ქუთაისის სტუდენტობას", მით უმეტეს, „მოსწავლე ახალგაზრდობას"? თუ „სტუდენტები" კიდევ ითქმის ორის კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართებლის გენ.-ადიუტ. თავ. გ. ს. გოლიცინის მონაწილეობით.

*** ქუთაისი. 14 თებერვალს ქუთაისის საქალაქო თეატრში, ჩვენის ნიჭიერის არტისტის ვლ. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ, წარმოადგინეს თვით მობენეფისეს მიერ ნათარგმნი დრამა „კარდინალი რიშელიე“. მობენეფისეს თავისი ნიჭის შესაფერი როლი აელო (კარდინალი რიშელიე) და მშვენივრადაც შეასრულა იგი, რისთვისაც დაჯილდოებულ იქმნა განუწყვეტელ ტაშის ცემით და მრავალ ძვირფასი საჩუქრით. კარგი იყო ბ-ნი ბალანჩივაძე და სხვა მსახიობნიც, რომელთაც ეტყობოდათ, საქმეს სვინიდისიერად მოჰკიდებოდნენ. წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო.

*** ახალსენაკი. თითქმის ყოველ დაბა-სოფლებში ქუჩა-ეზო-კარმიდამოებს ასუფთავებენ, რასაც თვალ-ყური უნდა ადევნონ ეგრედ წოდებულ სანიტარებმა. ამ უძვირფასეს ზრუნვას ადამიანის კეთილდღეობისას მოკლებულია ახალსენაკი. ამ რამდენისამე წლის წინად, როცა ხოლერის შიში იყო, აირჩიეს რამდენიმე კაცი სანიტარებად, მაგრამ შემდეგ ამისა ეს „სანიტარები“ თვალითაც არ გვინახავს. ამათი ადგილი დღეს „საბაია“-ს (პოლიციის დარაჯია) უჭირავს. ეს რომ არ გვყავდეს და იმისი ხშირ-ხშირი ყვირილი არ ისმოდეს, მთლად წყალწაღებული ვიქნებოდით. ნუ თუ მარტო „საბაია“ და მისი ყვირილი ეყოფა დაბას!? სასურველია, აქაურმა პოლიციამ მეტი ყურადღება იქონიოს დაბის ავ-კარგზე და შესაფერისი ღონისძიება მიიღოს.

ყვავილი აქეთ მოისპო, მაგრამ განაპირა სოფლებში დიდს ზარალს იძლევა. წელს მაინც ყვავილით უფრო კვდება ადამიანი, ვიდრე სხვა ავათმყოფობით. მთელი სამეგრელო დიდად შეაწუხა ამ სენმა.

თებერვალი ერთობ ცუდის ამინდებით დაგვიდგა. ცა მუდამ მოღრუბლულია; ხშირად განუწყვეტელი წვიმები მოდის. უამისოდაც გაფუჭებული ქუჩები ეხლა მთლად ატალახებულია. გარდა ამისა ადგილ-ადგილ ისე დაორღო-ჩორღოვდა, რომ თუ ფრთხილად არ არის ადამიანი, კისერს მოიტეხს.

*** რადგანაც ის სადგომი, სადაც მთავარ-მართებლის კანცელარია მოთავსებული, მეტად ვიწროა, აზრადა აქვთ შეიძინონ კიდევ მეორე სახლი ზუბალოვისა ახალ ბებუთოვის ქუჩაზედ.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი გ. ვ. იაკიმოვი თანამდებობას თავს ანებებს. მთავარ-მართებლის კანცელარიაში მოსამსახურეთ აზრადა აქვთ მიართვან ბ-ნ იაკიმოვს ალბომი თავთავიანთის სურათებით.

*** ბათუმში მყოფმა ამერიკის ელჩმა მიჰმართა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვა გაუგზავნოს იმ ბრინჯის თესლის ნიმუშები, რომელნიც კავკასიაში მოჰყავთ. ელჩმა ეს თესლები ამერიკის ერთს სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას უნდა გაუგზავნოს.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით, როგორც „კავ.“-ი იუწყება, აღკრძალულ იქმნა საქონლის მოკვლა ყარაიაზის სააგარაკო ტყეში.

*** 16 თებერვალს, ღამის 2½ საათზედ მარტყოფის ქუჩაზედ მცხოვრებმა სოლომონ მიროტაძემ და იმისმა მუშებმა მიიყვანეს პოლიციაში ბოდბის ხევის მცხოვრები ქარუმ (იგივე ივანე) რევაზის ძე კიკინაშვილი და განაცხადეს, რომ ეს კაცი სხვა ბოროტ-გამზრახველებთან ერთად კუკიის სასაფლაოდგან სხვა და სხვა ნივთების მოპარვას აპირებდაო. როდესაც გამოსდგომიან ქურდებს, ამ უკანასკნელთ თავსა და ხელში მძიმეთ დაუჭრიათ მიროტაძესთან მყოფი, ტფილისის მცხოვრებელი ალექსანდრე ნურალოვი, პოლიციამ კიკინაშვილი დააპატიმრა.

*** „კავ“-ს სწერენ, რომ ამას წინად სოფ. ყვარელში ადგილობრივის მცხოვრებელის ალექსი კაკოლაშვილის რვა წლის ქალმა, მშობლების შინ არ ყოფნის დროს, ოთახის შუა ადგილას დიდი ცეცხლი დაანთოო. მალე ცეცხლი სახლის ჭერს მოსდებია, საიდგანაც მეზობლის სახლზედ გადასულა. გადამწვარა ორივე სახლი და ყოველაფერი რაც-კი ამ სახლებში ყოფილა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ფშაველი,** (თელავის მაზრა), 4 თებერვალი. აშკარადა სჩანს, რომ ჩვენის სოფლის მკვიდრთ თავისი წლიური მოსავალი ბევრგვარ მიზეზების წყალობით არა ჰყოფნით, რის გამოც თანდათან უკიდურესს სიღარიბეში სცვივიან. ერთი ამ მიზეზთაგანი სოფლის ჩარჩ-ბაცაცობაა, რომელიც დღითი დღე იზრდება და რომლის შესუსტებას უნდა სცდილობდეს სოფლის ყველა თვალ-ხილული ადამიანი. ამასაც აშკარად ვხედავთ, რომ ეხლანდელ დროში ყველა მოტყუებულია თავისს შრომით, გარდა ვაჭრისა, რომელსაც შრომა (თუ მის ობობასებურ ქსელს შრომას ვუწოდებთ) ერთი ათად ნაყოფს აძლევს.

სოფ. ფშაველი სოფელ ლაღის უფრით ორასს კომლს აღემატება. გარდა ამისა, ეს სოფელი შეადგენს ერთს უმთავრესის საზაფხულო გზას მთელი თუშეთისას. ამაზედ მიდის სამთოდ და ბრუნდება უკან თუშების ცხვარი, მროხა, ჯოგი, მთელი ჯალაბობანი. ამ მიზეზით სოფ. ფშაველს ყველაფერი უსაღდებოდა. თუშებს, რომლებიც ხვნა-თესვას ნაკლებად მისდევენ, ფშაველლები აძლევენ პურს, ქერს, სიმინდს და ღვინოს. სამაგიეროდ, იმათგან იღებენ ფულს, ყველს, საკლავს და მატყლს. ამისთანა ერთმანეთში გაცვლა-გამოცვლა, რასაკვირველია, ორივე მხარისათვის ფრიად სასარგებლო იყო და არის. მაგრამ სამწუხაროდ ამათ შუა ჩადგა შუამავლად ვაჭარი, რომელიც ერთსაც ატყუებს და მეორესაც, და ამ გზით თითონ ჯიბეს ივსებს.

სოფ. ფშაველში რამდენიმე დუქანია. ესენი იაფობის და გლეხის გაჭირვების დროს ჩალის ფასად ჰყიდულობენ იმისს მონაგარს და ამ გვარ სიძვირეში ერთი ორად თუშებზედ ასაღებენ. მაგალითად, კალოს დროს პურს იღებდნენ 2 მ., ქერსა და სიმინდს—1 მ. კოდს ისიც სავაჭროზედ. ახლა-კი პური 3 მ. 50 კაპ., ქერი და სიმინდი 2 მ. გაყიდეს. თუშურის გამრიელის ყველით, რომელიც მარილზე, სულადზე და სხვა სავაჭროზე აქვთ აღებული ნახევარ ფასად, ხომ დუქნები სავსე აქვთ და ურმობით ასაღებენ ფუთს 8 მანეთად.

ყველა ამას ნათლად ჰხედავს სოფლის ყოველი შეგნებული, თავადია თუ გლეხი, მღვდელია თუ ერის კაცი, და გული სწყდება. როგორ იქნება, რომ ამ გვარმა პირმა ხალხში ხმა არ ამოიღოს, საქმის ავი და კარგი არ გააგებინოს და ხელი მაგრად არ ჩაავლებინოს ხალხს იმ უფლებისათვის, რომელიც მას მთავრობისაგან აქვს მინიჭებული მედუქნეების წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ ჩვენებურ სოფელში მიკიტნის დუქანა სრულიად საჭირო არ არის, რადგან ყოველ მოსახლეს საკუთარ მარანში სასმელი ღვინოც უდგა და გასასყიდიც. იმის გარდა, რომ დუქნების გამოისობით სოფლის მკვიდრთ ღვინო და სხვა წლის მოსავალი აღარ ეყიდებათ და, თუ ეყიდებათ, ისიც ჩალის ფასად, სხვაგვარადაც დიდი ვნება მოაქვს სასმელების დუქანს, ამას დამტკიცება არ უნდა.

ეს რჩევა-დარიგება უპირველესად უნდა შეისმინონ სოფლის სათავეში მდგომთ და მის ბედ-იღბლის გამგეთ სოფლის მოხელეთ. მაგრამ რა ბრძანებაა! სავალალოც ის არის, რომ სწორედ ამათთვის არაფერი გაუგონებია პატიოსან და სოფლის გულშემატკივარ ადამიანს, თორემ ხალხი-კი მიხვედრილია საქმის ავ-კარგიანობას. დიდი ბრძოლაა ხალხსა და მოხელეთა შორის. რამდენიც უქმე დღე გამოერია დეკემბრიდგან აქამომდე, იმდენი დაუმსხვს ყრილობას ჩვენის სოფლის მოხელეებმა და ძალას ატანდნენ, რომ მოწმობები მისცეს მედუქნეებს, მაგრამ ყრილობა დღემდე უარს იყო. იქამდე მიაღწია ამ მოხელეთა თავგასულობამ, რომ მღვდელსაც-კი ჰკადრეს: ხალხს კეთილ საქმეს ნუ აგონებ, გამოსადეგს ნუ უქადაგებ, ხალხში შენ ხმა არა გაქვსო! გაიგეთ? ობოლო, ვისა სცემ?—კანც გამზრდელო! სწორედ ასეა ჩვენი საქმე.

ფშაველიშვილი

## რუსეთი

—

აზრადა აქვთ კასპიის ზღვის ერთ-ერთ ნავთ-სადგურში დააარსონ საშუალო სამეხანიკო-სატეხნიკო სასწავლებელი.

— სატახტო გაზეთების სიტყვით, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რკინის გზებზედ დაკლებულ იქმნას იმ მცენარეთა გადაზიდვის გარდასახადი, რომლებიდგანაც სამკურნალო წამლებს ამზადებენ.

— იმ განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს სამოქალაქო დებულებათა გადასინჯვა, შეიმუშავა და წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს განსახილველად პროექტი ახალის კანონებისა მზრუნველობის შესახებ.

— საკომერციო ცოდნათა გამავრცელებელ საზოგადოებას აზრადა აქვს ამ ახლო მომავალში დააარსოს განსაკუთრებული კურსები სავაჭრო საქონლის გაცნობა-შესწავლის საქმისა. უმთავრესი ყურადღება ამ კურსებზედ მიქცეული იქნება იმაზედ, თუ როგორ უნდა გაიგოს კაცმა რა-

---

ცის შესახებ, „მოსწავლე ახალგაზრდობა“—არასოდეს. თქვენის სიტყვებიდგან ის გამოდის, ვითომ ბ-ნ ფალავას არა-უნებურად, მოუფიქრებლობით, „lapsus linguae“-ს წყალობით, არამედ ცუდის განზრახვით, ანგარებით (წარმოიდგინეთ, ამბობენ—ბ-ნ ფალავას ყიფიანისაგან არაფერი არ აუღიაო და თუ იცავდა საქმეს, მხოლოდ ზოგიერთთა თხოვნითაო. ნეტავი ვიცნობდე პირადად იმ კაცს, რომ უფრო გაჰჭრით შემძლოს ლაპარაკი) უპატიურება მიეყენებინოს მთელის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. დაუპირდაპირეთ ახლა თქვენ მიერ შეთხზული ფანტაზია ზემოდ გამორკვეულს ნამდვილს ფაქტს და სთქვით, რა ჰქვიან თქვენს საქციელს. „ცილის-წამება“—არც მეტი არც ნაკლები! თქვენ იცით, რომ ბ-ნი ფალავა შეეხო მხოლოდ ორ სტუდენტს, *) „რომელთაც სინამდვილეს მოკლებული მოწმობა იქვე საბუთით დაუმტკიცდათ“ (ყოველს შემთხვევაში წინააღმდეგი არც თქვენ დაგიმტკიცებიათ), მაგრამ, ამისდა მიუხედავად სწერთ: „რადგანაც მე დღეს“.. და სხ. თქვენ თქვენის გაზეთის საშუალებით ავრცელებთ ამ ცილისწამებას და შეცდომაში შეგყავთ მკითხველი საზოგადოება, რომელიც მოკლებულია საშუალებას საფუძველი გაუჩხრიკოს თქვენს სიტყვებს. საბუთი სტუდ. გ. ლოლობერიძის წერილია, როცა ამ კაცმა ფაქტი სწორედ ისე გაიგო, როგორც თქვენ გქონდათ დახასიათებული და თქვენ, რედაქტორი, შესაფერს შენიშვნას არ უკეთებთ, თუმცა კარგათ იცით, რომ ბ-ნი ფალავა შეეხო ორ სტუდენტს და არა საზოგადოდ სტუდენტობას. პირ-იქით, აი რასა სწერთ შენიშვნაში: „დავარწმუნებთ ბ-ნ ლოლობერიძეს, რომ ის წერილი, რომელზედაც აქ ლაპარაკია, სრულიად სანდო პირისაგან არის გამოგზავნილი“ („კვ.“ № 47), ე. ი. ერთხელ კიდევ ჩასჩიჩინებთ მკითხველს საზოგადოებას—ბ-ნმა ფალავამ მთელს სტუდენტობას მიაყენა შეურაცხყოფაო, და თქვენის გაზეთის ნომრებთან ერთად ავრცელებთ ამ ცილისწამებას. შემდეგს ნომერში (№ 48) ბ-ნი ი. კილაძე სწერს: თუმცა ჩვენ არა ვართ ავტორი ამ საგნის შესახებ კვალში დაბეჭდილ მატიანისა, მაგრამ რადგანაც იმ მართალ შენიშვნებს დაუჯერებელი კუდი გამოება, და რადგანაც სტუდ. გ. ლ—ე მეჭვს აცხადებს...“ მაშ ერთხელ კიდევ, ბ-ნო ჟორდანია?! შემდეგს ნომერში (№ 49) თქვენ ბ-ნის ხაბულიანის პირით ამბობთ: „ბ. ფალავამ შეურაცხყოფა მიაყენა სტუდენტობას (ქუთაისისას, რასაკვირველია)“. კიდევ, ბ-ნო პუბლიცისტო?! მართალია, მე-50 ნომერში, ერთის თვის შემდეგ, ჰბეჭდავთ საერთო წერილს, სადაც ნათლად არის გამორკვეული ის ფაქტი, რომ ბ-ნი ფალავა შეეხო მხოლოდ ორ „მოწმე-სტუდენტს“ და ისიც არა როგორც სტუდენტს, არამედ „როგორც დაინტერესებულ პირთ“, მაგრამ რა გამოვიდა? იქვე ადგილს უთმობთ ბ-ნ ელიავას ჰიპოტეზას: „თუ მე არ ვენდობი ივანეს, პეტრეს, გოგიას, იმიტომ რომ ისინი სტუდენტები არიან (კურსივი ავტორისაა), მაშ სტუდენტობა დიდი მანკიერი უნდა იყოს ჩემის აზრით და არც სტუდენტების ნდობა მაქვს, რასაკვირველია. ეს ერთად-ერთი შესაძლებელი დასკვნაა ფალავას სიტყვებიდგან“. ბ-ნო „კვალის“ ხელმძღვანელო, რა უფლება გაქვთ არ დაუჯეროთ იმ ოთხ კაცს, რომელთაც საქმის ვითარების შეტყობინება თქვენ თითონვე სთხოვეთ, როგორც სანდოთა და დამსწრეთ? თუ უჯერებთ, რა ადგილი აქვს თქვენის გაზეთის ფურცლებზედ (და მერე იმავე ნომერში!) ბ-ნ ელიავას ჰიპოტეზას, რომელიც, როგორცა სჩანს, არ დასწრებია ფაქტს? ეგ ხომ უპატიურებაა იმ კაცების მიმართ? ნუ თუ ვერ ამჩნევთ? არა, თქვენ იმდენად გაგიტაცათ იუბილეების პერსპექტივამ, ერთის მხრივ (აკი დღესასწაულობთ კიდეც ერთის წლის იუბილეს. „მანდილოსანი (?!) მათუსალა“ კი არ უნდა დაგვემცირებიათ, როგორ გეკადრებათ? „კვ.“ № 3, 1899 წ., „კვირიდან კვირამდე“), ისე გონება დაუტანებლივ აჰყოლიხართ ფეხის-ხმას ბრძოლის საჭიროების შესახებ, მეორის მხრივ, რომ ბოლოს და ბოლოს თითონაც ვერ ამჩნევთ, რომ ჭეშმარიტების მაგიერ, ცილის წამებისათვის იბრძვით. სულითა და გულით მსურს ასე ვიფიქრო, ესე იგი წარმოვიდგინო, რომ თქვენ თითონაც არ გესმით, რასაც ჰშვრებით: მაშინ დიდად შეგისუბუქდებოდათ ცოდვა, («на нѣтъ, и суда нѣтъ»-ო ამბობენ რუსები), მაგრამ ეს მეტის-მეტი ხანგრძლივი სიჯიუტე ცილისწამების გავრცელებისათვის მაკვირვებს სწორედ!..

ახლა მინდოდა თქვენთად ერთად გადამეთვალიერებინა სტუდ. დევდარიანის წერილი, მაგრამ უნდა მოგახსენოთ მართალი, ძნელი ასასრულებელი სურვილია: თავი ბოლოს არ ებმის და ბოლო—თავს. გარდა ამისა, რა უნდა მოსთხოვო იმისთანა ადამიანს, რომელიც, გოგოლის უნტერ აფიცრის ცოლისა არ იყოს, самъ себя сѣчетъ *), და თქვენც, ევროპიულად განათლებულო პუბლიცისტო, ადგილს უთმობთ ამისთანა წერილებს! ეჰ, დაანებეთ თავი ცილის-წამებას, ბ-ნო ჟორდანია! დაგვეკარგა მოთმინება. მიგვაწოდეთ უფრო რიგიანი გონებრივი საზრდო (ეკონომიური გამოკვლევები რა უყავით ეკონომისტო?), თუ შეგიძლიათ. თუ-კი ზოგადის ფრაზების მეტი (ისიც ნასესხებისა) არაფერი გაგაჩნიათ, ჭორებისა და ცილის-წამების გავრცელებას მაინც ერიდეთ. მართალია, ვერ წარმომიდგენია ისეთი ჭკუიანი მკითხველი, რომლის თვალშიაც თქვენს ნაწერებს დიდი ავტორიტეტი ჰქონდეს, მაგრამ, მოგეხსენებათ, როცა ადამიანს რამდენისამე თვის განმავლობაში ერთსა და იმავე ჩასჩიჩინებთ, ადვილად შეიძლება ჭკუამ ადგილი დაუთმოს ეგრედ წოდებულ „ჩაგონებას“ (внушеніе, гипнотизація). ისიც მოგეხსენებათ, რომ ჩაგონება მწერლობის ერთი უძლიერესი იარაღთაგანია და ვაი იმ პუბლიცისტს, რომელიც მას ბოროტად ჰხმარობს.

ნუ გგონიათ—მკითხველები ხმას არ იღებენ, მაშასადამე, ტაშს მიკრავენო. წარმოიდგინეთ, რუსული ანდაზა ზოგჯერ არ მართლდება. გაჩუმება თანხმობის გარდა კიდევ ნიშნავს რაღასაც...

(დასასრული იქნება)

*) „კვ.“ № 49, „კვირიდან კვირამდე“.

*) ბოდიშს ვიხდი „ივერიის“ მკითხველთ წინაშე, რომ ასე დაუსაბუთებლად ვკიცხავ კაცს, მაგრამ თუ არ დაიზარებთ და ხელ-მეორედ გადაიკითხავთ იმ წერილს, უთუოდ უჩემოდაც დარწმუნდებით ყველაფერში. (იხ. „კვალი“ № 3, 1899 წ.).

მდენად კარგი თვისებისა და ღირსებისაა ეს თუ ის საქონელი.

# უცხოეთი

**ბოლგარია.** სტამბულოვისა და რადოსლავოვის დასთა წარჩინებულ წევრებს მოლაპარაკება ჰქონიათ ერთმანეთთან იმის შესახებ, რომ ეს ორი დასი შეერთდეს ერთად სამოქმედოდ. ამ მოლაპარაკებას ჯერ ნაყოფი ვერ გამოუღია, რადგან სტამბულოვის დასის წევრები თხოულობენ თურმე, რომ გაერთიანებულ დასის ხელმძღვანელად გრეკოვი უნდა იქმნასო, ხოლო რადოსლავოვის დასის წარმომადგენლებსკი უნდათ, რომ რადოსლავოვი იქმნას წინამძღოლი.

გაზეთი „ბლგარია“ სამართლიანად ამბობს, რომ ამ ჟამად, როცა ორივე დასის წარმომადგენლების ხელშია ქვეყნის მართვა გამგეობა, ამ დასების შეერთებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვსო, რადგან მხოლოდ ერთი-მეორის თანხმობით შეუძლიათ ბოლგარია გაკოტრებისაგან დაიხსნანო. ეხლა დრო არ არის ლაპარაკისა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს ხელმძღვანელი გაერთიანებულ დასისა,—გრეკოვი თუ რადოსლავოვი; პირადს ანგარიშებს და თავმოყვარეობას ეხლა თავი უნდა დაანებონ სახელმწიფო მოღვაწეებმა და ქვეყნის უმაღლეს ინტერესების დაცვისათვის იზრუნონო.

**ოსმალეთი.** კრიტის განთავისუფლების შემდეგ, ჯერი მაკედონიაზედ მიდგა და მაკედონელმა ქრისტიანებმაც მოითხოვეს ათას გვარი ცვლილება თავიანთ ქვეყნისათვის. მართალია, ზოგიერთმა დიდმა სახელმწიფოებმა კი განაცხადეს, რომ მაკედონელები ნუ აწ ქარდებიან, ჯერ ადრეა იმათთვის და ევროპას სხვა საქმეებიც ბევრი აქვს, მაკედონელ ქრისტიანებისთვის ვერ მოიცლისო, მაგრამ ასეა თუ ისე, მაკედონიის საქმეს თავზედ ხელის დაფარება არ უშველის, და დღეს თუ არა, ხვალ მაინც თავისას არ დაიშლის. ეს ევროპამაც კარგად იცის, ოსმალეთის მთავრობამაც და თვით მაკედონიის ქრისტიანებმაც. მაგრამ, მაკედონიასთან მჭიდრო კავშირი აქვს ალბანიის საქმეებს, ასე რომ თუ მაკედონიაში რაიმე ცვლილება მოხდა, უთუოდ, ალბანიის ქრისტიანებიც არ დარჩებიან წრეს გარედ. ხოლო საქმე იმაშია, რომ დღეს დიდი უპირატესობა აქვს მინიჭებული ალბანიის სამხედრო წოდებს. რაღა თქმა უნდა, იქ თუ რაიმე ცვლილება იქმნა შემოღებული, ეს წოდება დიდს სარგებლობას დაჰკარგავს. ეს კარგად იციან ალბანიის წინამძღოლებმა, და ამიტომ ამ რამდენიმე კვირის წინად კრება გამართეს პეჩში, რომელზედაც დაადგინეს, რომ ყოველი ღონისძიება გიხმაროთ ქრისტიანების სასარგებლოდ რაიმე ცვლილების შემოღების წინააღმდეგ, და ნებით თუ არა გაგვიგა რა, შემდეგ ძალას მივმართოთო. კრების წევრების სიტყვით, ალბანიის მეთაურებს თავიანთ ინტერესების დასაცველად შეუძლიანთ 200,000 კაცის გამოყვანა საბრძოლველად.

იუწყებიან, რომ ბაირამის შემდეგ ახალი კრება უნდა მოხდეს პეჩსა, პრიზრენსა ანუ სკოპლეში, რადგან წინანდელს კრებას, რომელიც პეჩში იყო, ალბანიის ყველა გვარეულობის თავკაცები არ დასწრებიან.

**ესპანია.** სენატის პრეზიდენტი მონტეროს-რიოსი სამსახურიდგან გადადგა და ეს გარემოება ძლიერ აწუხებს საგასტას სამინისტროს, რადგან ლიბერალურ დასში არა ჰყავთ ამ ჟამად მეორე ისეთი კაცი, რომელმაც შესძლოს სენატში კამათის ხელმძღვანელობა, სადაც ოპოზიციის მხრივ უფრო მომეტებულს წინააღმდეგობას მოელიან, ვიდრე დეპუტატთა პალატაში იყო. საგასტა არ ჰკარგავს იმედს, რომ მონტერო რიოსი როგორმე დაითანხმოს და სამსახურიდგან გადადგომის თხოვნა უკანვე წაიღებინოს. საგასტა უმტკიცებს მას, რომ როცა ოპოზიციის წინაშე თავის გამართლება დაგჭირდება, როგორც სამშვიდობო კომისიის თავმჯდომარეს, სენატში თავმჯდომარეობა რომელიმე ვიცე პრეზიდენტს დაუთმე და შენკამათში ჩაერიეო. მონტერო რიოსი-კი ამტკიცებს, რომ სამსახურიდგან ჩემი გადაუდგომლობა შეუძლებელია, რათა დაუბრკოლებლად მივიღო მონაწილეობა კამათში და თავი ვიმართლოვო.

# დამკვირდი

ხუნა-თესვა განვითარებულის ცხოვრების კარებია.

გეორგ ვებერი

* * *

გაჭირება დედაა გამოგონებათა.

ლევან შანავაზის ძე

* * *

სათნო კაცი კურთხეულ იყოს ქალაქსა და სახლსა შინა თვისსა. კურთხეულ იყოს ველსა ზედა. კურთხეულ იყვნენ შვილნი და შვილის წულნი მეცლისა მისისანი და ნაშრომნი ქვეყანისა მისისანი, მროწეულნი ზროხათა მისისანი და ცხოვარნი სამწყსოთა მისისანი.

მეფე ალექსანდრე I.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ წლის იანვარში შესრულდა ასი წელიწადი მას აქეთ, რაც ტელეფონია გამოგონილი. 1799 წელს 2 იანვარს ფრანგებმა პირველად შეიტყეს, რომ ერთის მანქანის შემწეობით, რომელსაც ტელეფონი-კი არ ერქვა, არამედ ტელელოგი, შესაძლებელია დიდს მანძილზე გაგონება ადამიანის ლაპარაკისა. საფრანგეთის ოფიციალურმა გაზეთმა, რომელშიაც ეს ამბავი იყო დაბეჭდილი, ვერც-კი გაბედა გამოეცხადებინა გვარი ტელეფონის გამომგონელისა და სთქვა მხოლოდ, ეს კაცი ინჟენერი ბ—ი არისო. გაზეთში ეწერა, რომ ეს ინჟენერი აცხადებს, შეიძლება მარსის მინდორზე პარიჟელებმა გაიგონონ ის სიტყვა, რომელიც წარმოთქმული იქმნება ლიუქსენბურგის სასახლეში დირექტორიის პრეზიდენტის მიერ. მაგრამ პარიჟელებმა ეს ინჟენერი გიჟად მიიჩნიეს და კინაღამ საგიჟეთშიაც ჩასვეს.

* * *

რამდენად სასტიკად ექცეოდნენ ესპანელები კუბას კუნძულის მეამბოხეთ, შემდეგი ამბავი ამტკიცებს, რომელიც ეხლახან დაიბეჭდა გაზეთ „ტაიმსში“. მთავარ-სარდალი გენერალი ვეილერი ესპანიის ჯარს ათვალიერებდა და მივიდა პოლკოვნიკის სანხეცის სახლში. სანხეცის სახლში იმ ჟამად სცხოვრობდა ორის წლის ბავშვი, რომელსაც ესპანელებმა დედ-მამა დაუხოცეს. გენერალმა ვეილერმა მოინდომა ამ ბავშვის ნახვა. ბავშვი იმ წამსვე მოიყვანეს. ცელქი ბალღი იმ წამსვე უშიშრად აცოცდა გენერალის მუხლებზე და მხიარულად ეთამაშებოდა.

— იცის, თუ არა ბავშვმა ლაპარაკიო,— იკითხა გენერალმა.

— გენერალი გეკითხებაო,—ჰკითხა სანხეცმა შვილობილს, ლაპარაკი იციო?

— Cuba libri! Cuba libri! (თავისუფალი ყუბა!)—დაიძახა ბავშვმა.

გენერალს ხმა არ ამოუღია. ჯიბიდგან ამოიღო დიდი რევოლვერი, მიადო ბავშვს პირზე და უთხრა:

— აბა, პატარა მეამბოხევ, ერთხელ კიდევ გაიმეორე, ეგ სიტყვები!

— Cuba libri! Cuba...

საბრალო ბავშვმა სიტყვა ვეღარ დაამთავრა: რევოლვერმა იგრიალა და ბავშვი უსულოდ დაეცა. ამ საზარელმა ამბავმა ისე იმოქმედა ბავშვის მამობილზედ, რომ მეორე დღეს პოლკოვნიკი სულით ავადმყოფთა სახლში წაიყვანეს და ორის კვირის შემდეგ იმისი ცოლის გვამი ჰნახეს ბავშვის საფლავზე. ამასაც თურმე თავი მოეკლა.

# დეპეშა

16 თებერვალი

**პეტერბურგი.** 15 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორი ბრძანდებოდა ზღვის კადეტის კორპუსში; 16 თებერვალს—ნიკოლოოზის კადეტის კორპუსში.

**რომი.** «Popolo Romano» აცხადებს, რომ «Figaro»-ს მიერ ნაუწყები ვითომც პაპის აზრად ჰქონდეს წინააღმდეგობა განაცხადოს, რომ იგი გამორიცხულია კონფერენციიდგან, რომელიც უნდა შესდგეს მხედრობის შემცირების შესახებ, არა მარტო უდროვოა, არამედ ყოვლად უსაფუძვლოცაო.

**ბერლინი.** იმპერიის სეიმის საბიუჯეტო კომისიაში რიხტერს უპასუხა ბიულოვმა, რომ კონფერენცია შეიარაღების შემცირების შესახებ გააგაში უნდა მოხდესო.

მოწვევის ბარათები ჩქარა გაიგზავნება. როდის შესდგება კონფერენცია, ჯერ არ არის გარდაწყვეტილი. რუსეთმა წარმოადგინა პროგრამმა, რომლის ცალკ ცალკე მუხლის წინააღმდეგ ლაპარაკი სხვა და სხვა სახელმწიფოებს შეუძლიან თითონ კონფერენციაზედ.

17 თებერვალი

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. გამილტონმა განაცხადა, რომ ის ხმები ვითომც ავღანის ემირი მომკვდარიყვეს, ყოვლივე საფუძველს მოკლებული არისო.

**რომი.** „Tantulla“ იუწყება, რომ ჩინეთის მთავრობამ დაუთმო იტალიას სანმუნის ნავთსადგურიო.

**პარიჟი.** სენატი. მორელე წინააღმდეგია პროექტისა, მიტომ რომ პროექტი თხოულობს საკანონმდებლო დაწესებულება ჩაერიოს იმ საქმეში, რომელიც შეეხება მხოლოდ სასამართლოს და დანაშავეს. დიუპუი ამბობს, რომ მე ვერ შემაშინეს იმ საბუთებმა, რომელნიც მოყვანილი იყო პროექტის წინააღმდეგ, მიტომ რომ მე მაშინვე შევამჩნიე იმ საბუთების სისუსტეო. მინისტრი ალჟურვილია თავისის მოვალეობის ასრულების სურვილით,—აი რისთვის წარმოადგინა პროექტი, რომელიც პალატაში შეწყნარებულ იქმნა რესპუბლიკელთა უმრავლესობის მიერ. (წინააღმდეგი ხმაურობაა). ეს ამტკიცებს, რომ მთავრობა არაოდეს არ იწონებდა ამ საქმის გამო შემდგარ რამდენიმე დასს და რამდენიმე ლიგასო. ორატორმა იკითხა, ამგვარ საყვედურის ღირსნი არიან თუ არა ჩემი მოწინააღმდეგენიო. (წინააღმდეგობა გაისმის, ხმაურობაა). დიუპუი აცხადებს, რომ მე არ ვემორჩილები ჩაგონებას მხედრობისას, რომელიც პატივს სცემს კანონს, კონსტიტუციას და, ამავე დროს, მამულისათვის თავდადებულიაო. მინისტრი ამტკიცებს, რომ პროექტი სრულებითაც არ ასუსტებს დანაშავეთა შესახებ გარანტიას. მთელი გამოძიება გამოქვეყნებული იქნება, მიტომ რომ მთავრობას სურს, ყველაფერი იცოდეს ყველამ. დიუპუი წინააღმდეგობას აცხადებს იმ ბრალდების შესახებ, რომ ვითომც მთავრობა მოწადინებული იყოს განჩინება შეიკვალოს, რადგან არ იცის, როგორი განჩინება იქნება დადგენილი. იმას სურს, რომ ისეთი განჩინება დადგინდეს, რომლის წინაშეც ყველა ქედს იხრიდეს, შეშლილთა და მეამბოხეთა გარდა. დასასრულ დიუპუიმ მოსთხოვა სენატს, გამოსთქვას—ენდობა იგი მთავრობას, თუ არა. ვალდეკ-რუსოს უკვირს, რომ დიუპუიმ ნდობის შესახებ კითხვა პირველად სენატში აღძრა. ორატორმა იკითხა, როგორ მოხდა, რომ ისეთის ძლიერებით აღძრულ იქმნა ასეთი უმსგავსო კანონიო. ის წინააღმდეგია იმისა, რომ პოლიტიკური მოღვაწეები გაერიონ მართლმსაჯულების საქმეში, რომელიც უკანასკნელი ზღუდე უნდა იყოს გზა დაკარგულ ბრბოს წინააღმდეგ. ვოლდეკს არ მოსწონს მთავრობის სისუსტე, წინააღმდეგია იმ იდეისა, რომ ვითომც შესაძლებელი იყოს სახელმწიფო მოსაზრებით შეიზღუდოს კერძო კაცის თავისუფლება. ამასთანავე საშიში არის, საზოგადოების შეხედულება არ შეიცვალოსო ერთად ერთი საშუალება ისაა, რათა ამას თავი დავაღწიოთ, რომ ჩვენს სინიდისს ყური დავუგდოთ, იმას დავემორჩილოთო. საზოგადო კამათი დასრულდა. სენატმა, 155 ხმით 125 წინააღმდეგ, დაადგინა განიხილოს თითოეული მუხლი კანონისა. კამათობა გადაიდვა ხვალისთვის. კრება დაიშალა.

## ანგარიში

სოფელ ხოვლის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოსი 1898 წ. მარტის 1-დგან 1899 წ. 1 იანვრამდინ.

საანგარიშო წელს ხელის მომწერი იყო სულ—220. მათ შორის მართლმადიდებელი —215 და სომეხ-გრიგორიანი 5; ქალი 120; კაცი 100, 17 წლისაზედ დიდი 134. 9—17 წლისანი 86, სოფლის სკოლის მოსწავლე და სკოლაში სწავლადამთავრებული 86; თავად-აზნაური და სამღვდელო 58, გლეხი, რომელთაც სკოლაში არ უსწავლიათ 76, საანგარიშო წელს წიგნთ-საცავიდგან გაიტანეს სულ 2540 წიგნი. სახელდობრ მარტში 208 წიგნი, აპრილში 293, მაისში 319, თიბათვეში 404, კათათვეში 122, მარიამობისთვეში 132, ენკენისთვეში 106, ღვინობისთვეში 112; გიორგობისთვეში 137, ქრისტიშობისთვეში 215, ამათში ქართული წიგნია 2390, რუსული 150, სულ 2540.

ჟურნალ-გაზეთები ხოვლის წიგნთ-საცავს მოსდიოდა: რუსული „Природа и люди“, „Петербургъ“, გაზეთები „Биржевыя вѣдомости“, „Кавказъ“ და „Новое Обозрѣнie“, ქართული: „კრებული“ „ივერია“ „კვალი“ „ჯეჯილი“, და „ცნობის ფურცელი“.

უფრო მომეტებულათ გაჰქონდათ შემდეგი წიგნები: ქალ-ვაჟიანი, სვანური ზღაპრები, ამირანი, ჟურნალი ჯეჯილი; თხზულებანი: შ. მღვიმელის, ი. ჭავჭავაძისა და ა. ყაზბეგისა. გლეხკაცობა დღიურ გაზეთებს ნაკლებად კითხულობდა და სამკითხველოშიც საკითხავად ნაკლებ დადიოდა. უფრო მომეტებულად დაიარებოდა სამღვდელონი და თავად-აზნაურნი. რიცხვი ყოველ დღე მოსიარულეთა საამკითხველოში მთელის წლისა იყო 676. საანგარიშო წელს ჩაეწერა წევრად 33 კაცი, რომელთაგანაც შემოიტანეს საწევრო გარდასახადი: ერთბაშად 25 მ. თ. გრ. ალ. ჯავახიშვილმა და ჩარიცხულია საპატიო წევრად. 10 მ. კნიაჟ. ე. ა. თარხნიშვილისამ, 6 მ. კნ. ნინო დავითის ასულმა ერისთავისამ; 5 მ. თ. რევაზ იასონის ძემ და კნ. მ. გ. ერისთავებმა, კნ. მ. ი. და მ. დ. ჯავახიშვილებისამ, 3 მ. კნ. სოფ. ათან. ჯავახიშვილისამ. ბარ. ი. ლვინიაშვილისამ, თ. ალექ. ლეონიძემ, თ. გ. ნ. ვეზირიშვილმა, თ. ზაქარიაგ. ჯავახიშვილმა; 2 მ. თ. დავ. ქაიხ., კნ. ეკ. ივ. და კნიაჟ. ქეთო ჯავახიშვილებმა, ელ. გიორ. წერეთლისამ; თითო მან. კნიაჟ. ნ. დ. ჯავახიშვილმა, თ. ქაიხ. გ., ვლად. დიმ. და მიხ. ალექს. ჯავახიშვილებმა, ქალბ. ქალ. ე. გ. კავსაძემ, ა. ი. ხახიშვილმა, ე. ი. ხახიშვილმა, მ. ივანე დეკანოზოვმა, თ. ალექ. ნ. და კნ. აა მ. დიასამიძეებმა; სოფ. დავ. ციციშვილმა და ქ. ეკ. დიმ. მახათაძემ.

შემოსწირეს: „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოებამ“ 16 ქარ. წ., ი. როსტომაშვილმა 22 ქ. წიგ., თ. ნასიძემ 16 ქარ. წიგ., კნიაჟ. ქეთო ჯავახიშვილმა 18 ქართ. წიგ., ს. ჭელიძემ და ი. იმედაშვილმა 8 ქ. წიგ., ნატალია დონდაროვისამ 9 რუსული წიგნი, ლავრენტი ჯავრომა 4 რუსული და 6 ქარ. წიგნი, ვას. ხახიშვილმა 15 რუსული და 6 ქართ. წიგნი, ზ. გ. ჯავახიშვილმა გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1898 წ. და 59 ქარ. წიგნი, ვ. გუნიამ 20 ქარ. წიგ., შიო მღვიმელმა 2 ქარ. წიგ., ქ. გ. ჯავახიშვილმა „Биржев. вѣд. 1898 წ.“ და 3 რუსული წიგნი; კნიაჟ. ლიზა აბაშიძისამ 12 წ. რუსული, მ წინამძღვრიშვილისამ 12 ქარწიგნი, კნ. ს. ე. მალალაშვილისამ 1 ქარ. წიგ., ე. ი. აბხაზისამ 12 წიგ., ალ. ივ. ხახიშვილმა—„Родина“ съ прилож. 1894 წ., ი. გ. კავსაძემ „მეურნე“ 1888—1889 წ., გ. გ. ღვინიაშვილმა ხატი, ს. დ. ციციშვილისამ 7 მწერალთა სურათი, ოდესელ სტუდენტებმა 2 სურათი, მ. ლ. ერისთავმა 5 ქარ. და 6 რუს. წიგნი, მ. ქ. მამაცაშვილისამ 40 რუსული წიგნი, გრ. ალექ. ჯავახიშვილმა—„ივერია“, „კვალი“ და „ჯეჯილი“, კნ. მ. ი. ჯავახიშვილისამ ერთი დასადგმელი ლამფა. ფულად: მ. შანშიევმა 10 მ, ნ. მარიშევმა 1 მ., სტ. ქ. ყიფიანმა 25 მ., ს. ამირეჯიბმა 1 მ. და ს. იოსელიანმა 1 მ.

წიგნთ-საცავ-სამკითხველოს 1898 წ. 1 მარტიდგან 1899 წ. 1 იანვრამდე შემოსავალი ჰქონდა: 1. საწევრო შემოსატანი 96 მ.; 2, შემოწირულობა ფულად 16 მ. 25 კ., 3. გაფუჭებულ წიგნებში გადახდილი ფული 5 კ., 4. სხვა-და-სხვა შემოსავალი 5 მ. სულ 117 მან. 30 კაპ. გასავალი: 1. წიგნების სასყიდათ 2 მ. 97 კ., 2. გაზეთების გამოსაწერად 4 მ., 3, წიგნების დასაკაზმად 15 მ., 4. სხვა-და-სხვა ხარჯი 17 მ. 98 კ., სულ 39 მ. 95 კ. ნაღდი დარჩა 77 მ. 35 კ. საანგარიშო წელს შემოსწირეს წიგნთ-საცავს 272 ცალი ქართული წიგნი, ნასყიდია წიგნთ-საცავის ხარჯით 22 წიგნი., ხელის მომწერლებისაგან დაკარგულია 3 დახეულია 4 წ. რუსული წიგნი შემოსწირეს 83.

ამ რიგად საკითხველოში იყო საანგარიშო წლის გასულს ქართული წიგნი 423 ცალი, რუსული 291 ცალი, სულ 714 წიგნი.

თავმჯდომარე გამგეობისა მარიამ დავითის ასული ჯავახიშვილი

წევრნი გამგეობისა { ზაქარია ჯავახიშვილი, ქეთევან ჯავახიშვილი }

წევრნი სარევიზიო კომისიისა: კნეინა სოფიო ათანასეს ასული ჯავახიშვილი, კნ. მარიამ გიორგის ასული ერისთავი.

Дозволено цензурою, Тифлисъ 17 го Февраля 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე